

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის
მიმელ მუსხელის ინსტიტუტი

ევროპის კავშირის ქართი ძირითადი უფლებების შესახებ

თამარ ლაკერბაიას, გვანცა გუგეშაშვილის
და ნონა გელაშვილის თარგმანი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა

UDC(უბკ)327(4)

ბ-262

ევროპის კავშირის ქართია ძირითადი უფლებების შესახებ

თამარ ლაკერბაიას, გვანცა გუგეშაშვილის
და ნონა გელაშვილის თარგმანი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის
მიშელ მუსხელის ინსტიტუტი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 2020

EU CHARTER ON FUNDAMENTAL RIGHTS

Translated by Tamar Lakerbaia,
Gvanstsa Gugeshashvili and Nona Gelashvili

Sulkhan-Saba Orbeliani University
Michel Mouskhely Institute

Sulkhan-Saba Orbeliani University Press, Tbilisi, 2020

თარგმნილია ქართვის ოფიციალური ინგლისური, ფრანგული და
გერმანული ვერსიებიდან.

ISBN 978-9941-8-2843-0

პრეამბულა

**თავი I
ღირსება**

**თავი II
თავისუფლებები**

**თავი III
თანასწორობა**

**თავი IV
სოლიდარობა**

**თავი V
მრავალაქეთა უფლებები**

**თავი VI
მართლმსაჯულება**

**თავი VII
ქართვის განმარტებისა და გამოყენების
მარეგულირებელი ზოგადი დებულებები**

ევროპარლამენტი, საბჭო და კომისია საზეიმოდ აცხადებს ქვემოთ ტექსტს, როგორც ევროპის კავშირის ქარტიას ძირითადი უფლებების შესახებ.

ევროპის კავშირის ქარტია ძირითადი უფლებების შესახებ

(2012/C 326/02)

პრეამბულა

ევროპის ხალხებს, ერთმანეთს შორის უფრო მჭიდრო კავშირის შესაქმნელად, გადანაცვლები აქვთ გაიზიარონ საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული მშვიდობიანი მომავალი.

აცნობიერებს რა თავის მორალურ და ზნეობრივ მემკვიდრეობას, კავშირი ეფუძნება ადამიანის ღირსების, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის განუყოფელ და უნივერსალურ ღირებულებებს. კავშირი ემყარება დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის პრინციპებს. კავშირის საქმიანობაში ადამიანს ცენტრალური ადგილი აქვს მინიჭებული, რაც აისახება კავშირის მოქალაქეობის შემოღებით და თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის შექმნით.

კავშირი ხელს უწყობს ამ საერთო ღირებულებების დაცვას და განვითარებას ევროპის ხალხთა კულტურული და ტრადიციული მრავალფეროვნების, ისევე, როგორც წევრი სახელმწიფოების ეროვნული იდენტობისა და მათი სა-

ჯარო ხელისუფლების ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე მონყობის გათვალისწინებით. კავშირი ცდილობს ხელი შეუწყოს დაბალანსებულ და მდგრად განვითარებას და უზრუნველყოფს პირების, მომსახურებების, საქონლისა და კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას და დაფუძნების თავისუფლებას.

ამ მიზნით, საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების, სოციალური პროგრესის, სამეცნიერო და ტექნოლოგიური განვითარების ფონზე, აუცილებელია ძირითადი უფლებების დაცვის გაძლიერება, ქარტიაში ამ უფლებათა უფრო მეტად თვალსაჩინოდ წარმოჩენის გზით.

წინამდებარე ქარტია, კავშირის უფლებამოსილებებისა და ამოცანების, ასევე, სუბსიდიარობის პრინციპის სათანადო გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ ადასტურებს წევრი სახელმწიფოების საკონსტიტუციო ტრადიციებიდან და საერთო საერთაშორისო ვალდებულებებიდან, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციიდან, ევროკავშირისა და ევროპული საბჭოს მიერ მიღებული სოციალური ქარტიიდან და ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე უფლებებს. ამ კონტექსტში, კავშირისა და წევრი სახელმწიფოების სასამართლოების მიერ ქარტიის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს იმ განმარტებების მიხედვით, რომლებიც მომზადდა კონვენციის პრეზიდენტის ზედამხედველობით, რომელმაც, ასევე, შეადგინა ქარტიის პროექტი და განაახლა იგი ევროპული კონვენციის პრეზიდენტის პასუხისმგებლობით.

ამ უფლებათა განხორციელება წარმოშობს პასუხისმგებლობასა და ვალდებულებებს სხვა პირთა, ადამიანთა ერთობისა და მომავალი თაობების მიმართ.

აღნიშნულის გათვალისწინებით კავშირი აღიარებს ქვემოთ ჩამოთვლილ უფლებებს, თავისუფლებებსა და პრინციპებს.

თავი I ღირსება

მუხლი 1 ადამიანის ღირსება

ადამიანის ღირსება ხელშეუვალია. ღირსების პატივისცემა და დაცვა სავალდებულოა.

მუხლი 2 სიცოცხლის უფლება

1. ყველას აქვს სიცოცხლის უფლება.
2. არავის უნდა მიესაჯოს სიკვდილი ან დაისაჯოს სიკვდილით.

მუხლი 3 პირადი ხელშეუხებლობის უფლება

1. ყველას აქვს უფლება საკუთარ ფიზიკურ და ფსიქიკურ ხელშეუხებლობაზე.

2. მედიცინისა და ბიოლოგიის სფეროში განსაკუთრებით უნდა იქნეს გათვალისწინებული შემდეგი:
 - (a) სათანადო პირისაგან თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის კანონით დადგენილი წესით მიღება;
 - (b) ევგენური საქმიანობის აკრძალვა, განსაკუთრებით ისეთი საქმიანობის, რომელიც ადამიანების გადარჩევის მიზნით ხორციელდება;
 - (c) ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით ადამიანის სხეულის ან მისი ნაწილების გამოყენების აკრძალვა;
 - (d) ადამიანის კლონირების აკრძალვა.

მუხლი 4

ადამიანის ნამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის აკრძალვა

არავინ შეიძლება დაექვემდებაროს ნამებას, ან არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს.

მუხლი 5

მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა

1. არავინ შეიძლება იყოს მონობაში ან ყმობაში.
2. არავის შეიძლება დაეკისროს იძულებითი ან სავალდებულო სამუშაოს შესრულება.
3. ადამიანით ვაჭრობა აკრძალულია.

თავი II

თავისუფლებები

მუხლი 6

თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება.

მუხლი 7

პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა

ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, საცხოვრებელსა და კომუნიკაციას.

მუხლი 8

პერსონალური მონაცემების დაცვა

1. ყველას აქვს საკუთარი პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება.
2. ასეთი მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ განსაზღვრული მიზნებისათვის კეთილსინდისიერად და სათანადო პირის თანხმობით ან კანონით გათვალისწინებული სხვა ლეგიტიმური მიზნის საფუძველზე. ყველას აქვს მის შესახებ შეგროვებულ მონაცემებზე წვდომისა და მათი ჩასწორების უფლება.
3. ამ დებულებების შესრულებაზე კონტროლს დამოუკიდებელი ორგანო ახორციელებს.

მუხლი 9

ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება

ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება გარანტირებულია ეროვნული კანონმდებლობით, რომელიც ამ უფლებათა განხორციელებას აწესრიგებს.

მუხლი 10

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება

1. ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას, და თავისუფლებას, აღიარებდე რელიგიას ან რწმენას როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საჯაროდ ან კერძოდ, ღვთისმსახურებით, სწავლებით, წესების დაცვითა თუ რიტუალების შესრულებით.
2. სინდისის გამო სამხედრო სამსახურზე უარის თქმის უფლება დასაშვებია იმ ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც აწესრიგებს ამ უფლების განხორციელებას.

მუხლი 11

გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება

1. ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, ჰქონდეს საკუთარი შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად.

2. პატივი უნდა ეცეს მედიის თავისუფლებასა და პლურალიზმს.

მუხლი 12

შეკრებისა და გაერთიანების უფლება

1. ყველას აქვს უფლება, თავისუფლად და მშვიდობიანად შეიკრიბოს სხვებთან ერთად ნებისმიერ დონეზე, განსაკუთრებით პოლიტიკურ, პროფესიული კავშირებისა და სამოქალაქო საზოგადოებრივ საკითხებზე და თავისუფლად გაერთიანდეს სხვებთან, რაც მოიცავს ნებისმიერი პირის უფლებას საკუთარი ინტერესების დასაცავად დააფუძნოს პროფესიული კავშირები ან შეუერთდეს მას.
2. კავშირის დონეზე არსებული პოლიტიკური პარტიები ხელს უწყობენ კავშირის მოქალაქეთა პოლიტიკური ნების გამოხატვას.

მუხლი 13

ხელოვნებისა და მეცნიერების თავისუფლება

ხელოვნება და კვლევა თავისუფალია. პატივი უნდა ეცეს აკადემიურ თავისუფლებას.

მუხლი 14

განათლების უფლება

1. ყველას აქვს განათლების უფლება, ასევე, პროფესიულ განათლებასა და გადამზადებაზე წვდომის უფლება.
2. ეს უფლება მოიცავს შესაძლებლობას, უფასოდ მიიღო მონაწილეობა სავალდებულო სასკოლო საგაკვეთილო პროცესში.

3. დემოკრატიული პრინციპების სათანადო პატივისცემის საფუძველზე, სასწავლო დაწესებულებების დაარსების თავისუფლება და მშობლების უფლება, უზრუნველყონ შვილების განათლება და სწავლება თავიანთი რელიგიური, ფილოსოფიური და პედაგოგიური მრწამსის შესაბამისად, უნდა იქნეს დაცული იმ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, რომლებიც ამ უფლებებსა და თავისუფლებებს ანებსრიგებენ.

მუხლი 15

პროფესიის თავისუფლება და მუშაობის უფლება

1. ყველას აქვს მუშაობის და თავისუფლად არჩეული ან მიღებული პროფესიით საქმიანობის უფლება.
2. კავშირის ყოველ მოქალაქეს აქვს თავისუფლება, ეძებოს სამსახური, იმუშაოს, დაფუძნდეს ან გასწიოს მომსახურება ნებისმიერ წევრ სახელმწიფოში.
3. მესამე ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებისთვისაც ნებადართულია წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე მუშაობა, აქვთ მოთხოვნის უფლება ჰქონდეთ იგივე სამუშაო პირობები, რაც შეესაბამება კავშირის მოქალაქეებისათვის გათვალისწინებულ პირობებს.

მუხლი 16

სამენარმეო საქმიანობის თავისუფლება

სამენარმეო საქმიანობის თავისუფლება აღიარებულია კავშირის სამართლით, ცალკეული სახელმწიფოს ეროვნული სამართლითა და პრაქტიკით.

მუხლი 17

საკუთრების უფლება

1. ყველას აქვს უფლება, ფლობდეს, სარგებლობდეს, განკარგოს და მემკვიდრეობით გადასცეს თავისი კანონიერად შეძენილი ქონება. არავის შეიძლება ჩამოერთვას ქონება, საზოგადოებრივი ინტერესის საფუძვლების და კანონით გათვალისწინებული პირობებისა, ასევე, საკუთრების დაკარგვისთვის დროული და ადეკვატური კომპენსაციის გარეშე. საკუთრებით სარგებლობა შესაძლოა მოწესრიგდეს კანონით, რამდენადაც ეს აუცილებელია საზოგადოებრივი ინტერესებისთვის.
2. ინტელექტუალური საკუთრება დაცულია.

მუხლი 18

თავშესაფრის უფლება

თავშესაფრის უფლება გარანტირებულია ჟენევის 1951 წლის 28 ივლისის კონვენციის და 1967 წლის 31 იანვრის ლტოლვილთა სტატუსის შესახებ პროტოკოლის და ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულებისა და ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების წესების გათვალისწინებით (შემდგომ მოხსენიებული, როგორც „ხელშეკრულებები“).

მუხლი 19

დაცვა გადაცემის, გაძევების ან ექსტრადაციის შემთხვევებში

1. კოლექტიური გაძევება აკრძალულია.

2. არავინ შეიძლება დაექვემდებაროს გადაცემას, გაძევებას ან ექსტრადირებას იმ სახელმწიფოში, სადაც არსებობს სერიოზული რისკი, რომ პირი დაექვემდებარება სიკვდილით დასჯას, წამებას ან სხვა არაადამიანურ, დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს.

თავი III თანასწორობა

მუხლი 20 კანონის წინაშე თანასწორობა

კანონის წინაშე ყველა თანასწორია.

მუხლი 21 დისკრიმინაციის აკრძალვა

1. აკრძალულია დისკრიმინაცია განსაკუთრებით სქესის, რასის, კანის ფერის, ეთნიკური ან სოციალური წარმოშობის, გენეტიკური მახასიათებლების, ენის, რელიგიის ან რწმენის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული უმცირესობის წევრობის, საკუთრების, დაბადების, შეზღუდული შესაძლებლობების, ასაკისა ან სექსუალური ორიენტაციის გამო.
2. ხელშეკრულებების გამოყენების ფარგლებში ნებისმიერი დისკრიმინაცია მოქალაქეობის ნიშნით აკრძალულია, გარდა ამ ხელშეკრულებების სპეციალური დებულებებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 22
კულტურული, რელიგიური
და ენობრივი მრავალფეროვნება

კავშირმა პატივი უნდა სცეს კულტურულ, რელიგიურ და ენობრივ მრავალფეროვნებას.

მუხლი 23
მამაკაცისა და ქალის თანასწორობა

მამაკაცისა და ქალის თანასწორობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ყველა სფეროში, მათ შორის, დასაქმების, სამუშაოსა და ანაზღაურების საკითხებში.

თანასწორობის პრინციპი ხელს არ უშლის ისეთი ღონისძიებების შენარჩუნებას ან გატარებას, რომლებიც ითვისების მიზნით განსაკუთრებულ უპირატესობებს არასაკმარისად წარმოადგენილი სქესის სასარგებლოდ.

მუხლი 24
ბავშვის უფლებები

1. ბავშვებს უფლება აქვთ იყვნენ დაცულნი და ზრუნავდნენ მათზე იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია მათი კეთილდღეობისთვის. მათ შეუძლიათ თავისუფლად გამოხატონ თავიანთი აზრი. ასეთი აზრი მხედველობაში მიიღება, თავიანთი ასაკისა და სიმწიფის ხარისხის შესაბამისად, იმ საკითხებზე, რომლებიც მათ ეხებათ.
2. ბავშვებთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედებისას, იქნება ეს საჯარო ორგანოებისა თუ კერძო დაწესებულების მიერ განხორციელებული, ბავშვის საუ-

კეთესო ინტერესები უნდა იქნეს გათვალისწინებული.

3. თითოეულ ბავშვს უფლება აქვს შეინარჩუნოს რეგულარული პირადი ურთიერთობა და პირდაპირი კონტაქტი ორივე მშობელთან, თუ ეს მის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება.

მუხლი 25

ხანდაზმულთა უფლებები

კავშირი ცნობს და პატივს სცემს ხანდაზმულთა ღირსეული და დამოუკიდებელი ცხოვრების და სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებას.

მუხლი 26

შეზღუდული შესაძლებლობების

მქონე პირთა ინტეგრაცია

კავშირი ცნობს და პატივს სცემს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებს, ისარგებლონ ღონისძიებებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ დამოუკიდებლობას, სოციალურ და პროფესიულ ინტეგრაციას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას.

თავი IV

სოლიდარობა

მუხლი 27

დასაქმებულთა ინფორმირებისა და

მოსმენის უფლება საწარმოს შიგნით

დასაქმებულების ან მათი წარმომადგენლების დროული ინფორმირება და მოსმენა შესაბამის დონეებზე უზრუნ-

ველყოფილი უნდა იქნეს იმ შემთხვევებში და იმ წინაპირობებით, როგორც ეს გათვალისწინებულია კავშირის სამართლით და ცალკეული სახელმწიფოების სამართლებრივი ნორმებითა და პრაქტიკით.

მუხლი 28

კოლექტიური მოლაპარაკებებისა და კოლექტიური მოქმედებების განხორციელების უფლება

დასაქმებულებს, ისევე როგორც დამსაქმებლებს, ან მათ შესაბამის ორგანიზაციებს, კავშირის კანონმდებლობის, აგრეთვე ეროვნული კანონებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით, უფლება აქვთ შესაბამის დონეზე აწარმოონ მოლაპარაკებები და დადონ კოლექტიური შეთანხმებები, ხოლო ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, განახორციელონ კოლექტიური მოქმედება, მათ შორის, მოაწყონ გაფიცვა, თავიანთი ინტერესების დასაცავად.

მუხლი 29

დასაქმების მომსახურებაზე წვდომის უფლება

ყველას აქვს უფლება ისარგებლოს დასაქმების სამსახურის უფასო მომსახურებით.

მუხლი 30

სამუშაო ადგილიდან უკანონო გათავისუფლებისგან დაცვა

ნებისმიერ დასაქმებულს უფლება აქვს მოითხოვოს სამუშაო ადგილიდან გაუმართლებელი გათავისუფლები-

საგან დაცვა კავშირის სამართლის, აგრეთვე, ეროვნული კანონებისა და პრაქტიკის შესაბამისად.

მუხლი 31

შრომის სამართლიანი და სათანადო პირობები

1. ნებისმიერ დასაქმებულს უფლება აქვს ჯანმრთელ, უსაფრთხო და ღირსეულ შრომის პირობებზე.
2. ყოველ დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს სამუშაო საათების მაქსიმალური ზღვრული ოდენობის შეზღუდვით, დღიური და ყოველკვირეული დასვენებითა და წლიური ანაზღაურებადი შვებულებით.

მუხლი 32

ბავშვთა შრომის აკრძალვა და ახალგაზრდების დაცვა სამუშაო ადგილზე

ბავშვთა შრომა აკრძალულია. უფრო ხელსაყრელი ნორმების დაურღვევლად და ცალკეული გამონაკლისების გარდა, სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი არ უნდა იყოს სკოლის დამთავრების მინიმალურ ასაკზე ნაკლები.

დასაქმებული ახალგაზრდების შრომის პირობები უნდა შეესაბამებოდეს მათ ასაკს და ისინი დაცული უნდა იყვნენ ეკონომიკური ექსპლუატაციისა და ისეთი ნებისმიერი სამუშაოსგან, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მათ უსაფრთხოებას, ჯანმრთელობას, ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ ან სოციალურ განვითარებას ანდა საფრთხე შეუქმნას მათ აღზრდას.

მუხლი 33

ოჯახი და პროფესიული ცხოვრება

1. ოჯახის სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური დაცვა გარანტირებულია.
2. ოჯახური და პროფესიული ცხოვრების შეთავსების მიზნით, ყველას აქვს უფლება, დაცული იყოს დედობასთან დაკავშირებული საფუძვლით სამსახურიდან გათავისუფლებისაგან, ისევე როგორც უფლება, მოითხოვოს ანაზღაურებადი შვებულება დედობისთვის და ბავშვის დაბადების ან შვილად აყვანის შემდეგ დეკრეტული შვებულებით.

მუხლი 34

სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დახმარება

1. კავშირი აღიარებს და იცავს სოციალური უსაფრთხოების ღონისძიებებსა და სოციალურ მომსახურებებზე ხელმისაწვდომობას, რომლებიც უზრუნველყოფენ დაცვას დედობის, ავადმყოფობის, სანარმოო შემთხვევების, ზრუნვის საჭიროების ან ხანდაზმულობის, ასევე, სამუშაო ადგილის დაკარგვის შემთხვევებში კავშირის სამართლის, ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად.
2. ნებისმიერ ადამიანს, რომელიც მართლზომიერად ცხოვრობს და იცვლის ადგილსამყოფელს კავშირის ფარგლებში, უფლება აქვს ისარგებლოს სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებებით და სოციალური შეღავათებით, კავშირის სამართლის, ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად.
3. სოციალური იზოლაციისა და სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, კავშირის სამართლის, ეროვნული კა-

ნონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად, და ღირსეული არსებობის უზრუნველსაყოფად, კავშირი აღიარებს და იცავს სოციალური მხარდაჭერის და საცხოვრებლით დახმარების უფლებას მათთვის, ვისაც არ გააჩნიათ საკმარისი სახსრები.

მუხლი 35

ჯანდაცვა

ყველას აქვს პრევენციული ჯანდაცვისა და სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის უფლება ეროვნული კანონმდებლობითა და პრაქტიკით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. კავშირის ნებისმიერი პოლიტიკისა თუ ღონისძიების განსაზღვრისას და განხორციელებისას უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ჯანდაცვის მაღალი ხარისხი.

მუხლი 36

ხელმისაწვდომი ზოგადი ეკონომიკური ინტერესიდან გამომდინარე მომსახურებებზე

კავშირის სოციალური და ტერიტორიული ერთობის ხელშეწყობის მიზნით, კავშირი აღიარებს და იცავს ხელმისაწვდომობას იმ მომსახურებებზე, რომლებიც ზოგადი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარეობს იმდენად, რამდენადაც ეს გათვალისწინებულია ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში და შეესაბამება ხელშეკრულებებს.

მუხლი 37

გარემოს დაცვა

გარემოს დაცვის მაღალი დონე და გარემოს ხარისხის გაუმჯობესება უნდა იყოს კავშირის პოლიტიკის ნაწილი და

განხორციელდეს მდგრადი განვითარების პრინციპის შესაბამისად.

მუხლი 38 **მომხმარებელთა დაცვა**

კავშირის პოლიტიკა უზრუნველყოფს მომხმარებელთა დაცვის მაღალ დონეს.

თავი V **მოქალაქეთა უფლებები**

მუხლი 39 **ევროპარლამენტის არჩევნებში ხმის მიცემისა და საკუთარი კანდიდატურის წარდგენის უფლება**

კავშირის ყველა მოქალაქეს აქვს ევროპარლამენტის არჩევნებში ხმის მიცემისა და საკუთარი კანდიდატურის წარდგენის უფლება კავშირის იმ წევრ სახელმწიფოში, რომელშიც ცხოვრობს, იმავე პირობებით, რაც ამ სახელმწიფოს მოქალაქეებისთვისაა გათვალისწინებული.

მუხლი 41 **უფლება კარგ მმართველობაზე**

1. ნებისმიერი პირის უფლებაა განიხილებოდეს მისი საქმე კავშირის ორგანოების, დაწესებულებებისა და სხვა სამსახურების მიერ მიუკერძოებლად, სამართლიანად და გონივრულ ვადაში.
2. აღნიშნული უფლება განსაკუთრებით მოიცავს:

- (a) ნებისმიერი პირის უფლებას, მოუსმინონ მანამდე, სანამ მის მიმართ გატარდება მისთვის ზიანის მომტანი ინდივიდუალური ღონისძიება;
 - (b) ნებისმიერი პირის უფლებას, ხელი მიუწვდებოდეს მასზე არსებულ ჩანაწერებზე კონფიდენციალურობის დაცვის გამართლებული ინტერესის, ასევე პროფესიული და კომერციული საიდუმლოების დაცვის პირობით.
 - (c) ადმინისტრაციის ვალდებულებას დაასაბუთოს საკუთარი გადაწყვეტილებები.
3. ყველას აქვს უფლება მოითხოვოს ანაზღაურება კავშირის ორგანოების ან იქ დასაქმებული პირების მიერ თანამდებობრივი მოვალეობების შესრულებით გამოწვეული ზიანის სანაცვლოდ იმ ზოგადი სამართლებრივი პრინციპების საფუძველზე, რომლებიც წევრი სახელმწიფოების მართლწესრიგის-თვის საერთოა.
4. ყველას აქვს უფლება მიმართოს ევროკავშირის ორგანოებს ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე და მიიღოს პასუხი იმავე ენაზე.

მუხლი 42

დოკუმენტებზე წვდომის უფლება

კავშირის ყველა მოქალაქეს, აგრეთვე, ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, რომელიც ცხოვრობს ან რომელსაც რეგისტრირებული ადგილსამყოფელი აქვს წევრ სახელმწიფოში, უფლება აქვს მიუწვდებოდეს ხელი კავშირის ორგანოების, დაწესებულებებისა და სხვა სამსა-

ხურების დოკუმენტებზე, მიუხედავად დოკუმენტის შენახვის ფორმისა

მუხლი 43

ევროპის ომბუდსმენი

კავშირის ყველა მოქალაქეს, აგრეთვე, ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, რომელიც ცხოვრობს ან რომელსაც რეგისტრირებული ადგილსამყოფელი აქვს ნევრ სახელმწიფოში, უფლება აქვს ევროპის ომბუდსმენს მიმართოს კავშირის ორგანოების, დანესებულებებისა და სხვა სამსახურების მიერ არასათანადოდ განხორციელებული საქმიანობის შემთხვევაში. გამონაკლისია ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ საკუთარი სამოსამართლო უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა.

მუხლი 44

პეტიციის უფლება

კავშირის ნებისმიერ მოქალაქეს, აგრეთვე, ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, რომელიც ცხოვრობს ან რომელსაც რეგისტრირებული ადგილსამყოფელი გააჩნია ნევრ სახელმწიფოში, უფლება აქვს, პეტიციით მიმართოს ევროპარლამენტს.

მუხლი 45

გადაადგილებისა და ადგილსამყოფელის

არჩევის თავისუფლება

1. კავშირის მოქალაქეს უფლება აქვს, თავისუფლად გადაადგილდეს ან აირჩიოს ადგილსამყოფელი ნევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე.

2. გადაადგილებისა და ადგილსამყოფლის არჩევის თავისუფლება შეიძლება მიენიჭოთ ნევრ სახელმწიფოში მართლზომიერად მყოფ მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, როგორც ეს გათვალისწინებულია ხელშეკრულებებით.

მუხლი 46

დიპლომატიური და საკონსულო დაცვა

ევროკავშირის ყველა მოქალაქეს მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელშიც არ არსებობს იმ ქვეყნის წარმომადგენლობა, რომლის მოქალაქეცაა იგი, იცავენ ნებისმიერი ნევრი სახელმწიფოს დიპლომატიური ან საკონსულო ორგანოები იმავე პირობებით, როგორც ეს გათვალისწინებულია ამ სახელმწიფოს მოქალაქეებისთვის.

თავი VI

მართლმსაჯულება

მუხლი 47

უფლება ეფექტიან სამართლებრივ დაცვასა და სამართლიან სასამართლოზე

ნებისმიერ პირს, კავშირის სამართლით მისთვის გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევისას, უფლება აქვს სასამართლოში წარადგინოს ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალება ამ მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ნებისმიერ პირს აქვს უფლება, სამართლიანად, საჯაროდ და გონივრულ ვადაში განიხილოს მისი საქმე დამოუკიდებელმა, მიუკერძოებელმა და კანონის საფუძველზე

შექმნილმა სასამართლომ. ნებისმიერ პირს შეუძლია მიიღოს სამართლებრივი რჩევა, სამართლებრივად დაიცვას თავი და იყოს წარმოდგენილი სასამართლოში.

პირებს, რომლებსაც საკმარისი სახსრები არ გააჩნიათ, უნდა გაენიოთ იურიდიული დახმარება, რამდენადაც ეს დახმარება აუცილებელია მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ეფექტიანად უზრუნველსაყოფად.

მუხლი 48

უდანაშაულობის პრეზუმფცია და დაცვის უფლება

1. ნებისმიერი ბრალდებული უდანაშაულოდ მიიჩნევა მანამ, სანამ მისი ბრალეულობა კანონის შესაბამისად არ დამტკიცდება.
2. ნებისმიერი ბრალდებულის დაცვის უფლება გარანტირებულია.

მუხლი 49

კანონიერების პრინციპები და დანაშაულისა და სასჯელის თანაზომიერება

1. არავინ უნდა გასამართლდეს მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით არ ისჯებოდა. არც იმ სასჯელზე უფრო მკაცრი სასჯელის შეფარდება შეიძლება, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედებდა. თუ დანაშაულის ჩადენის შემდგომ კანონი უფრო მსუბუქ სასჯელს გაითვალისწინებს, მაშინ გამოყენებულ უნდა იქნეს ეს კანონი.

2. ეს მუხლი არ გამორიცხავს პირის გასამართლებასა და დასჯას ისეთი ქმედებისა თუ უმოქმედობისათვის, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროისათვის ისჯებოდა სახელმწიფოთა თანამეგობრობის მიერ აღიარებული ზოგადი პრინციპების შესაბამისად.
3. სასჯელის ზომა დანაშაულთან მიმართებით არ უნდა იყოს არათანაზომიერი.

მუხლი 50

ერთი და იმავე დანაშაულისათვის ორჯერ სისხლისსამართლებრივი დევნისა და დასჯის აკრძალვა

არავინ უნდა დაექვემდებაროს ხელახალ სისხლისსამართლებრივ დევნას ან განმეორებით დასჯას იმ დანაშაულისათვის, რომელზეც კავშირის ფარგლებში კანონის შესაბამისად გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენია დამდგარი.

თავი VII

ქარტიის განმარტებისა და გამოყენების მარეგულირებელი ზოგადი დებულებები

მუხლი 51

მოქმედების სფერო

1. ამ ქარტიის დებულებები მოქმედებს კავშირის ორგანოების, დაწესებულებებისა და სხვა სამსახურებისათვის სუბსიდიარობის პრინციპის გათვალისწინებით და წევრი სახელმწიფოებისათვის მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც მათ მიერ კავშირის სამართლის იმპლემენტირებასთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, ისინი საკუთარი უფლებამოსილებების ფარგ-

ლებში იცავენ უფლებებს, პრინციპებს და ხელს უწყობენ მათ გამოყენებას იმ კომპეტენციების ფარგლებში, რაც კავშირმა მათ ხელშეკრულებების საფუძველზე მიანიჭა.

2. ეს ქარტია კავშირის სამართლის მოქმედების სფეროს არ აფართოებს იმაზე მეტად, ვიდრე ეს კავშირის უფლებამოსილებებია და არ ადგენს კავშირის ახალ უფლებამოსილებას ან ახალ ვალდებულებას, და არ შეაქვს ცვლილებები ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებში.

მუხლი 52

უფლებებისა და პრინციპების მოქმედების ფარგლები და განმარტება

1. ამ ქარტიით აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა მოხდეს მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში და ამ უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსის გათვალისწინებით. თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით, შეზღუდვები დაშვებულია მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში და როდესაც ისინი შეესაბამება კავშირის მიერ აღიარებული საერთო კეთილდღეობიდან გამომდინარე მიზნებს ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საჭიროებას.
2. ამ ქარტიით აღიარებული უფლებები, რომლებსაც ხელშეკრულებების დებულებებიც არეგულირებენ,

- უნდა განხორციელდეს ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ პირობებსა და ფარგლებში.
3. რამდენადაც ამ ქარტიით გათვალისწინებული უფლებები შეესაბამება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ კონვენციით გარანტირებულ უფლებებს, მათი შინაარსი და მოქმედების ფარგლები კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა ანალოგიურია. ეს დებულება არ ზღუდავს შესაძლებლობას, რომ კავშირის სამართალმა დაცვის უფრო მაღალი სტანდარტი გაითვალისწინოს.
 4. იმდენად, რამდენადაც ამ ქარტიით აღიარებული უფლებები წევრი სახელმწიფოებისათვის საერთო საკონსტიტუციო ტრადიციებიდან გამომდინარეობს, მათი განმარტება მათთან შესაბამისობაში უნდა მოხდეს.
 5. ქარტიის იმ დებულებების იმპლემენტირება, რომლებიც ადგენენ პრინციპებს, ხდება კანონმდებლობისა და კავშირის ორგანოების, დანესებულებებისა და სხვა სამსახურების მიერ მიღებული აქტებით, აგრეთვე წევრი სახელმწიფოების მიერ, მათი კომპეტენციების ფარგლებში, კავშირის სამართლის აღსრულებისთვის გამოცემული აქტებით. ამ დებულებების სასამართლოში მოხმობა შესაძლებელია მხოლოდ ზემოაღნიშნული აქტების განმარტებისა და მათი მართლზომიერების დადგენის მიზნით.
 6. როგორც ეს ამ ქარტიაშია მითითებული, ეროვნული სამართლებრივი ნორმები და პრაქტიკა სრულად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული.
 7. კავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების სასამართლოებმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ

ქარტიის ინტერპრეტაციის სახელმძღვანელო განმარტებებს.

მუხლი 53 **დაცვის დონე**

ამ ქარტიის არცერთი დებულება არ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ გამოიწვიოს ადამიანის იმ უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შეზღუდვა ანდა დარღვევა, რომლებიც აღიარებულია კავშირის სამართლით, საერთაშორისო სამართლითა და საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეც არის კავშირი ან მისი ყველა წევრი სახელმწიფო, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით და წევრი სახელმწიფოების კონსტიტუციებით.

მუხლი 54 **უფლებების ბოროტად გამოყენების აკრძალვა**

ამ ქარტიის არცერთი დებულება არ უნდა განიმარტოს ისე, თითქოს ის ითვალისწინებს უფლებას, განახორციელო საქმიანობა ან ქმედება, რომლის მიზანი ქარტიით აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების გაუქმება ან მათი იმაზე მეტად შეზღუდვაა, ვიდრე ეს ქარტიითაა გათვალისწინებული.

ზემოაღნიშნული ტექსტით ცვლილებები შედის ქარტიის 2000 წლის 7 დეკემბერს გამოქვეყნებულ რედაქციაში და მისი ჩანაცვლებაც მოხდება ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან.